საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაღალაშვილი ნიკოლოზ

მაღალაშვილი ნიკოლოზ, ჰიმნოგრაფი. XVII ს. დავითგარეჯის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი. მისი თხზულებაა „ცხოვრება და შესხმაჲ ახლად მოწამედ გამოჩენილისა შიოსი და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დახოცეს დავითგარეჯის ლეკთა უღთოთა`, პატრიოტული შინაარსის ჰიმნოგრაფიული კანონი, რ-ის მიხედვით ცოცხლად წარმოგვიდგება ახალმოწამე შიოს პორტრეტი. ჩვენამდე მოაღწია XVII–XVIII სს. ჰიმნოგრაფიულმა კრებულმა „სადღესასწაულოდ“, რ-შიც შედის მ-ის (აგრეთვე გ. ვახვახიშვილი-დოდორქელის, იასე ერისთავის, ბ. ორბელიშვილის, ნ. ჩერქეზიშვილის) ჰიმნოგრაფიული კანონიც.

ლიტ.: ქ ა ვ თ ა რ ი ა მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე , ნიკოლოზ მაღალაშვილის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა, „მრავალთავი“ 1975, №4.